# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
# პირველადი პრიორიტეტების დოკუმენტი

## 2022-2025 წლებში

04.11.2021 წ.

# შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ------------------------------------3
ისტორია -----------------------------------------------------------------------------------------------3
მდებარეობა ----------------------------------------------------------------------------------------3
ფართობი -----------------------------------------------------------------------------------------------3
გეოგაფია ----------------------------------------------------------------------------------------------- 4
მმართველობითი ორგანოები---------------------------------------------------------------------4
ეკონომიკა -----------------------------------------------------------------------------------------------5
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა -------------------------------------------------------------6
საჯარო დაწესებულებები --------------------------------------------------------------------------6
ღირშესანიშნაობები ---------------------------------------------------------------------------------6
ეკონომიკა---------------------------------------------------------------------------------------------------7
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები --------------------------------------------- 7
შემოსავლებისა და ხარჯების აგრერირებული მაჩვენებელი 2020 -2025 წლებში --- 7
შემოსულობები ---------------------------------------------------------------------------
გადასახდელები ---------------------------------------------------------------------------- 8
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი --------------------------------------- 8
2020-2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა -------------------------------------------------8
2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი ------------------------------------------ ----8
2021 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა -------------------------------------------- 12
თავი III. ხარაგაულის მუნიციოპალიტეტის პრიორიტ. და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში------------------------------------------------------------------- -------------------15
ინფრასტრუქტურის განვთარება ----------------------------------------------- ------17
დასუფთავება და გარემოს დაცვა ---------------------------------------------------- ---23
განათლება---------------------------------------------------------------------------------------25
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი-------------------------------------------------------28
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ----------------- 33
მმართველობა და საერთო დანიშნულება --------------------------------------------------- 40

**თავი I. ზოგადი ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შესახებ**

**ისტორია**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი არის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია დასახლებული იყო ქვის ხანიდან.
მდინარე ჩხერიმელას მარჯვენა ნაპირას, ხანდების კლდეში ნაპოვნია ზედა პალეოლითის ხანისადამიანისმღვიმენამოსახლარი, დევისხვრელი. სოფელ ბორში 1938 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ათიოდე ჰექტარზე ბუდეებად გაფანტული ძვ. წ. I ს. – ძვ. წ. III ს. ბრაინჯაოს ხანის საგვარეულო და საოჯახო სამაროვნები. მათ შორის II-III სს. 2 მდიდრული ნეკროპოლი. ნაპოვნი ნივთები ინახება სანქტ-პეტერბურგის მუზეუმში ერმიტაჟი. სავარაუდოა რომ სოფელი ბორი პიტიახშთა ერთ–ერთი რეზიდენცია იყო. არქეოლოგიური მასალა აღმოჩენილია ასევე სოფელ ბეჟათუბანში, საგვეშში, ლეღვანსა და გოლათუბანში.
ფეოდალურ ხანაში მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა არგვეთის საერისთავოში, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის იყო, რადგან მასზე გადიოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები. 1774 წელს აქ მოხდა ჩხერის ბრძოლა იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ჯარს შორის. ცენტრალური მნიშვნელობის იყო ვახანის ციხე, სადაც 1804 წელს გაფორმდა ელაზნაურის შეთანხმება, რომლითაც იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.
1917 წლამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. 1921-1929 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის მაზრაში. 1930 წლიდან შეიქმნა ხარაგაულის რაიონი. 1932-1989 წლებში მას ორჯონიკიძის რაიონი ეწოდებოდა.
2005 წლიდან იწოდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტად.

**მდებარეობა**

ხარაგაულის რაიონი ( ფართობი 913,9კმ ) მდებარეობს საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში, იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ხაშურისა და საჩხერის, დასავლეთით ზესტაფონისა და ბაღდათის, ჩრდილოეთით ჭიათურისა და და საჩხერის,



სამხრეთით ბორჯომისა და ბაღდათის რაიონები

**ფართობი**

მუნიციპალიტეტის ფართობია 91,3 (ათასი)ჰა. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარიო 2642 მეტრი. გვხვდება თიხნარი, ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები, სუბალპური მდელოები. მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა ძირულა. მას ბევრი მდინარე ერთვის, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნი ჩხერიმელა, რომლესაც სათავე აქვს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე

1150მ. სიმაღლეზე.იგი მთლიანად მიეკუთვნება ხარაგაულის რაიონს და მისი ტერიტორიის 39კმ. კვეთს სათავიდან შესართავამდე. მდინარე ჩხერიმელის ხეობაში გაყვანილია რკინიგზის მაგისტრალის ერთ-ერთი რთული მონაკვეთი (წიფა_ძირულა).

### გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთაგორიანია. მდიდარია მდინარეებით და ჰიდრო რესურსებით, ყველაზე გრძელი მდინარეა ძირულა,. მდინარეებში ბინადრობენ კალმახები.

მთავარი ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომელსაც უკავია მთელი ფართობის 2/3- ზე მეტი (68,2%). მთისწინეთსა და დაბალმთიან ზონაში გავრცელებულია წიფლნარ-რცხილნარი, რომელსაც ერევა წაბლი, მუხა, იფანი, ცაცხვი, საშუალო ზონაში ქვეტყეს ქმნის მარადმწვანე ბუჩქნარი, ბევრია ხვიარა მცენარე, ძირითადად კი გაბატონებულია წიფლნარი. ტყის ზემო სარტყელში ფოთლოვანების გარდა არის ნაძვნარ-სოჭნარი, ხოლო მდინარეების ძირულასა და დუმალის წყალგამყოფზე შემორჩენილია ფიჭვნარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს განვითარების ფართო პერსპექტივას უსახავს ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკი. მუნიციპალიტეტის ბუნება, რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც ადამიანის უშუალო ზემოქმედება არ განუცდია და წარმოდგენილია ტყის მასივებით, მდინარეთა ხეობებით, კარსტული ფორმებით, კრისტალური ქანებით და წყაროებით, ტურიზმის მომავალი განვითარების არსებით ფაქტორს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი ბუნებრივი რესურსები: მარმარილო (მოლითი, მარელისი, ფონა), თეთრი მარმარილო (ჭარტალი), თიხა (გოლათუბანი), მოსაპირკეთებელი მასალა (წიფა), სამშენებლო ქვები (ამაშუკეთი, საქასრია), კვარცის მიწა (ქროლი), აზბესტი (ბჟინევი).

### მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც შედგება 35 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 20 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა ა(ა)იპ და მუნიციპალური შპს-ის მეშვეობით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოიცავს 20 ტერიტორიულ ერთეულს: დაბა ხარაგაული, ბაზალეთი,ბორითი,ვახანი,ზვარე,კიცხი,ლაშე,ლეღვანი,მოლითი,ნადაბური,სარგვეში,საღანძილე,ფარცხნალი,წიფა,წყალაფორეთი,ხევი,ხუნევი,ვარძია,ღორეშა,ხიდარი.მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 79 სოფელი აქედან რვა სოფელი - გოლისი, ზვარე, ჩრდილი, ნუნისი, წიფა, გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა და პატრა სახვლარი მაღალმთიანი სტატუსის მატარებელი სოფლები არიან.

### მოსახლეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2016 წლის აღწერის მდგომარეობით შეადგენს 19.4 ათას ადამიანს. მოსახლეობის რიცხოვნება 2006 წელთან შედარებით დაახლოებით 30 % -ით არის შემცირებული, მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედივთ საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 50 -ე ადგილზეა.




ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,51 %-ს, ხოლო, იმერეთის რეგიონის 3,9 %-ს შეადგენს.

| ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **მოსახლეობა** | **ფართობი (კვ. კმ)** |
| სულ საქართველო | 3,787,000 | 69700 |
| იმერეთის რეგიონი | 497,4 | 6415 |
| ხარაგაულის მუნიციპალიტეტი | 19,319 | 913 |
| პროცენტი საქართველოსთან | 0,51% | 1,3% |
| პროცენტი რეგიონთან | 3,9 % | 14,2 % |

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 14% დასაქმებულია საჯარო სტრუქტურებში, განათლების სექტორში, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სექტორებში. მოსახლეობის დანარჩენი 86%-ი თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში, ან უმუშევარია.

**ეკონომიკა**

მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 1,5% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება. ამ ტერიტორიის 70,9% უჭირავს საძოვრებს, ხვნა-თესვისათვის განკუთვნილია 29,1% (წლიურ ნათესებს უჭირავთ 22,5% , მუდმივ ნარგავებს – 22,5%) სოფლის მეურნეობის დარგებს შორის განსაკუთრებით განვითარებულია მეცხოველეობა და მეფუტკრეობა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მეფუტკრეობის მხრივ წამყვანი მუნიციპალიტეტია საქართველოში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის. ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებით.
სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 21 მცირე საწარმოთი (დასაქმებულია 95) და 180 საოჯახო ფერმერით, მათ შორის 97 მეფუტკრით.
მეფუტკრეობა მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მაღალ შემოსავლიანი დარგია.

მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ჰიდრო, ქარის და არატრადიციული ენერგეტიკის განვითარების მხრივ.

### სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია საკვანძო როლს ასრულებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში. ის აკავშირებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წიფის გვირაბითა (3910 მ.) და ხანდების გვირაბით (740 მ.). აქ გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს1 და ხაშური-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი.

### ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილება და ტვირთების გადატანა შესაძლებელია როგორც სარკინიგზო, ისე, საავტომობილო ტრანსპორტით. სამგზავრო და სატვირთო ავტომობილები ძირითადად კერძო საკუთრებაშია. მუნიციპალური ტრანსპორტის ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტში არსებული სატრანსპორტო საშუალებების საერთო რაოდენობაში მცირეა. მგზავრთა ნაკადისა და ტვითბრუნვის ძირითადი მიმართულებებია ხარაგაული-თბილისი, ხარაგაული-ზესტაფონი, ხარაგაული-ხაშური და ხარაგაული-ქუთაისი. ადმინისტრაციული ერთეულებიდან მუნიციპალიტეტის ცენტრში სამგზავრო-სატრანსპორტო საშუალებები არა რეგულარულად მოძრაობენ. ახალი კორონა ვირუსის **„COVID -19”** -ის გამო გამოწვეული შეზღუდვების საკომპენსაციოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოსახლეობის შეუზღუდავი გადაადგილებისათვის განხორციელდა რამდენიმე პროექტი, კერძოდ დაფინანსდა პედაგოგების მგზავრობა. ასევე დაინიშნა რამდენიმე რეგულარული რეისი ზეტაფონისა და ხაშურის მიმართულებით.

### საჯარო დაწესებულებები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები, მათ შორისაა:
21 საბავშვო ბაღი;

26 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლაა,

1 სამას ადგილიანი კინოთეატრი;

1 სპორტული სკოლა;

1 სამუსიკო სკოლა,

1 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

1 კულტურის ცენტრი,

1 ისტორიული მუზეუმი,

25 ბიბლიოთეკა,

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი.

### ღირშესანიშნაობები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული ძეგლებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია უბისის მონასტერი - IX საუკუნის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც გამოირჩევა XIV საუკუნეში მხატვარ დამიანეს მიერ შესრულებული ფრესკებით.

მნიშვნელოვანია ხარაგაულის შემოსასვლელში ქვის ხანის პერიოდის ადამიანის საცხოვრებელი ,,დევის ხვრელი“. კოზმანის მღვიმე, მელის ციხე (X-XII სს.), შუა საუკუნეების ვახანისა და ჩხერის ციხეები, საკულტო ნაგებობები: ნუნისის ღვთისმშობლის ეკლესია IX-X საუკუნეების მიჯნის ძეგლი და განვითარებული შუა საუკუნეების კახორი. სოფელ საქასრიაში დგას წმინდა გიორგის სახელობის IX-X სს, სავანის ეკლესიის ნაშთები.

**ეკონომიკა**

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შეადგენს 21 795,5 ათას ლარს. მათ შორის შემოსულობები 17 911,8 ათასი ლარია. ხოლო ფინანსური აქტივების ცვლილება 3 883,6 ათას ლარი. ბიუჯეტის შემოსულობებში 8 483,9 ათასი ლარს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია გადასახადები, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (7 636,2 ათასი ლარი) მოდის.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის დღგ -დან მიღებული შემოსავლები. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა, კერძოდ საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლიის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გარკვეული ნაწილი, მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. ასევე საგრძნობლად გაიზარდა ქონების გადასახადებიდან შემოსავლები უცხოური ქონებიდან მიღებული გადახადების ხარჯზე, რომელსაც იხდის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებული ჩინეთის გზებისა და ხიდების კორპორაციის საქართველოს ფილიალი -ის მიერ. რამაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მისცა საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს ზოგიერთი თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები. თუმცა უფრო დიდია კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარება. მაგალითად თუ 2020 წელს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვამ მთლიანი ბიუჯეტის 52,9 % შეადგინა და 2021 წელს ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები უფრო გაიზარდა და მთლიანი ბიუჯეტის 54,5 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

**თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

**შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2020 –2025 წლებში**

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2022-2025 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

**ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები**

| დასახელება | 2020 წლის ფაქტი | 2021 წლის მოსალოდნელი | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზზი | 2024 წლის პროგნოზზი | 2025 წლის პროგნოზზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 15 971,7 | 17 881,8 | 10 230,8 | 10 810,7 | 11 413,3 | 11 436,1 |
| გადასახადები | 7 047,1 | 7 636,2 | 8 915,8 | 9 508,7 | 10 111,3 | 10 131,1 |
| გრანტები | 7 618,7 | 9 012,6 | 155,0 | 140,0 | 140,0 | 140,0 |
| სხვა შემოსავლები | 1 306,0 | 1 233,0 | 1 160,0 | 1 162,0 | 1 162,0 | 1 165,0 |
| ხარჯები | 8 128,0 | 10 047,7 | 9 815,2 | 9 626,0 | 9 931,1 | 10 002,8 |
| შრომის ანაზღაურება | 1 645,9 | 1 747,6 | 2 315,8 | 2 315,8 | 2 315,8 | 2 315,8 |
| საქონელი და მომსახურება | 1 443,6 | 2 166,2 | 1 107,9 | 1 135,0 | 1 156,6 | 1 171,6 |
| პროცენტი | 32,9 | 33,8 | 35,0 | 35,0 | 38,0 | 40,0 |
| სუბსიდიები | 3 843,0 | 4 551,4 | 4 812,5 | 4 836,2 | 4 980,7 | 5 019,4 |
| გრანტები | 33,3 | 33,0 | 33,0 | 29,0 | 29,0 | 29,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 740,8 | 924,8 | 1 114,2 | 890,0 | 904,0 | 917,0 |
| სხვა ხარჯები | 388,5 | 590,9 | 396,8 | 385,0 | 507,0 | 510,0 |
| საოპერაციო სალდო | 7 843,7 | 7 834,1 | 415,6 | 1 184,7 | 1 482,2 | 1 433,3 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 8 787,0 | 11 666,466 | 800,6 | 1 129,740 | 1 427,200 | 1 378,300 |
| ზრდა | 8 918,3 | 11 696,5 | 845,6 | 1 174,7 | 1 472,2 | 1 423,3 |
| კლება | 131,3 | 30,0 | 45,0 | 45,0 | 45,0 | 45,0 |
| მთლიანი სალდო | -943,275 | -3 832,4 | -385,0 | 55,0 | 55,0 | 55,0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -994,197 | -3 883,6 | -440,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 994,197 | 3 883,6 | 440,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | 0,0 | | | |
| ვალდებულებების ცვლილება | -50,9220 | -51,2 | -55,0 | -55,0 | -55,0 | -55,0 |
| კლება | 50,922 | 51,2 | 55,0 | 55,0 | 55,0 | 55,0 |
| საშინაო | 0,000 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ბალანსი | 0,000 | 0,000 | 0,0 | 0,000 | 0,000 | 0,000 |
| შიდა პროდუქტის პროგნოზირებული ნომინალური ზრდის პროცენტული მჩვენებელი (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები) | 0,3% | 15,8% | 10,8 % | 9,9% | 8,7% | 8,0% |

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის პირველი იანვრისათვის გარდამავალი ნაშთი 3 994,7 ლარს შეადგნდა, რომელიც ძირითადად შედგებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი განკარგულებების გარდამავალი გაუხარჯავი ნაშთისგან 2 579,0 ათ. ლარი და საკუთარი სახრებიდან გადმომავალი ნაშთი იყო 1 415,7 ათ ლარი, აღნიშნული ნაშთებიდან 2021 წლის ხარჯებში უკვე გამოყენებულია 3 883,6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტს 01.01.2022 წლისთვის მოსალოდნელი საკუთარი სახსრებით თავისუფალი ნაშთის ნაწილი 440,0 ათასი ლარი უკვე დაგეგმილია 2022 წლის ხარჯებში, ხოლო დარჩენილი თავისუფალი ნაშთი გადანაწილდება საჭიროებისამებრ ახალი ვალდებულებების ასაღებად.

## გასული 2020 და მიმდინარე 2021 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა

### 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2019 წლის 19 დეკემბერს N 27 დადგენილებით და განისაზღვრა 8 402,0 ათასი ლარით.

შემდგომ, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილ იქნა ცვლილებები საკრებულოს ნორმატიული აქტებით, რაც ეხებოდა: გრანტების სახით გამოყოფილი თანხების, წლის დასაწყისში არსებულ ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და თავისუფალი თანხების ბიუჯეტში ასახვას, ასევე ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად ეკონომიკის ფუნქციონირებაში გამოწვეული შეფერხებების შესაბამისად ბიუჯეტის ცვლილებას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის დაზუსტებულმა მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 20 323,9 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლები 8 832,5 ათას ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 20 323,9 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 097,2 ათასი ლარი, ანუ გეგმის 84,1 %-ი.

მათ შორის:
ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 15 971,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 375,5 ათასი ლარი) 103,9% -ს შედაგენს მათ შორის:
გადასახადების სახით მობილიზებულია 7 047,1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 5 879,2 ათასი ლარის 119,9 %. წინა წელთან შედარებით (ფაქტი 6 370,9 ათასი ლარი) მიმდინარე წელში 1 167,9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. გრანტების სახით მიღებულია
7 618,7 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 506,3 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 7 112,4 ათასი ლარი.)
სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 1 305,9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 90,2 ათასი ლარის 145,1 %-ია.
არაფინანსური აქტივების კლებიდან 2020 წელს მობილიზებული იქნა 131,3 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (25,0 ათასი ლარის) 525,1 %-ია.

რაც შეეხება გადასხდელების ხარჯვით ნაწილს 2020 წლის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 17 097,6 ათ. ლარი, აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენს 1 654,9 ათას ლარს, საქონელი და მომსახურება - 1 443,6 ათას ლარს, პროცენტის ხარჯი შეადგენს 32,9 ათას ლარს, სუბსიდიებში გახარჯულია 3 843,1 ათასი ლარი, გრანტები 33,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დახარჯულია 740,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯებიდან 388,5 ათასი ლარი.
არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 8 918,3 ათას ლარს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებით ხარჯვა შეადგენს 8 016,2 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის (საკუთარი შემოსავალი) ხარჯი 902,1 ათასი ლარია.
2020 წლის ბოლოს ნაშთმა შეადგინა 3 994,7 ათ. ლარი.
2020 წელს ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რეგიონალური განვითარების ფონდიდან განხორციელდა შემდეგი პროექტები:
სოფელ მოლითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია, რომელიც დაიწყო 2019 წელს და განხორციელდა ორ ეტაპად - 165 948 ლარი; სოფელ ბაზში გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი), ასევე გარდამავალი პროექტი - 48 058 ლარი; სოფელ წყალაფორეთში ბაღის უბნის გზის და გაბეხაძეების უბნის გზის რეაბილიტაცია გარდამავალი პროექტი, დაიწყო 2019 წელს - 195 822 ლარი; დაბა ხარაგაულში ფეხბურთის სათამაშო მოედნის რეაბილიტაცია და კალათბურთის მოედნის მშენებლობა - 247 505 ლარი; სოფელ ქვების გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი) – 98 884 ლარი; ღორეშის ა/ერთეულში კვადოურის გზის რეაბილიტაცია - 165 366 ლარი; ბორითში გოჭოურის უბნის გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) - 131 687 ლარი; ჩხერის გზის რეაბილიტაცია პირველი ეტაპი - 300 027 ლარი; უბისა ჭალის უბანში გზის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრის მოწყობა (პირველი ეტაპი) – 277 999 ლარი; მაქათუბანში ბოჟაძეების,გამცემლიძეების და გორგაძეების გზის რეაბილიტაცია - 307 307 ლარი; ვანი-სხლითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 300 000 ლარი; ღვერკი-ხორითის დამაკავშირებელი გზა - 282 320 ლარი; სოფელ ჯაფაროულის გზის რეაბილიტაცია - 250 729 ლარი; ბორითი-ღორეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) კვესრევი-ამაშუკეთი - 453 726 ლარი; ვანი ღუდუმექეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 200 000 ლარი; სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია - 99 027 ლარი; სოფელ დეისის მეორე უბნის გზის რეაბილიტაცია - 77 740 ლარი; სოფელ ხიდარში ჯორტების საუბნო გზის რეაბილიტაცია - 75 000 ლარი; სოფელ ზარანში გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; სოფელ ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 371 011 ლარი; ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჭიპაშვილების უბანი) – 100 000 ლარი; ერეთა-დინარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; საქარიქედი (მუხების უბანი)-ლაშის იგორეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 100 000 ლარი; მარელისში ცისკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) – 100 000 ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2020 წელს დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა კულტრურული, სპორტული, შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონისძიებები. ,,ამღერებული იმერეთი“; შეხვედრა სკოლამდელი აღზრდის მრავალშვილიან პედაგოგებთან, პროექტ ,,ეტალონი“ ში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება; შეჯიბრი მიზანში სროლის მოყვარულებს შორის; დოღი სოფელ ვახანში; თოჯინების თეატრის სპექტაკლი სოფელ ნუნისში; პროექტ ,,პლენერის“ მონაწილეების დაჯილდოება; ქობულეთის ახალგაზრდულ ბანაკში ხარაგაულელი ახალგაზრდების მონაწილეობა; პედაგოგთა პროფესიულ დღესთან დაკავშირებით პედაგოგების დაჯილდოება;

2020 წლის იანვარ -თებერვალში ხარაგაულის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს მიერ ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა - ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში და მკლავჭიდში.2020 წელს პანდემიის პირობებში რეგულაციების დაცვით ჩატარდა სამოყვარულო ფეხბურთი 7 X 7. 2020 წლის დეკემბერში ხარაგაულის თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობაზე დიდებს შორის, სადაც ევსემ შველიძემ დაიკავა II ადგილი, ხოლო ზაურ ბერაძემ III ადგილი.

კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ 2020 წელს ნაჩვენები იქნა სპექტაკლები: "ინდაური ინდიკოს საახალწლო თვგადასავალი"; "მაკნატუნა"; ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიებები, მოეწყო საჯაროდ წიგნის კითხვის დღე, ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: შემაჯამებელი გაკვეთილი, ,,ვინ წაგვიკითხავს ზრაპარს“, ლექცია 1921 წლის ანექსიის შესახებ; თეატრალური ფესტივალი, პანდემია და შემოქმედება“ , ღია სივრცეში ჩატარდა სპექტაკლი - ,,აბა დამაცადეთ თაგუნებო“.

მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წელს სოციალური მიმართულებით მოქმედებდა 19 ქვეპროგრამა:

1. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მედიკამენტების დაფინანსებას. ქვეპროგრამისბიუჯეტი განისაზღვრა 393,5 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია ხარაგაულში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება. ქვეპროგრამით გაიხარჯა 391,7 ათასი ლარი და ისარგებლა 774 ბენეფიციარმა.

2.კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-დან 18 წლამდე ასაკის კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე სმენადაქვეითებული ბავშვების ელემენტით უზრუნველყოფას. ბიუჯეტი განისაზღვრა 5.0 ათ. ლარით. ქვეპროგრამის მიზანია იმპლანტით მოსარგებლე ბავშვების ფუნქციური ხარისხის გაუმჯობესება დასაზოგადოებაში ინტეგრაციის ხელსეწყობა. ქვეპროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა და დახარჯულია 4,6 ათ. ლარი.

3. შშმ პირთა დახმარება, რომელიც მოიცავს 0-18 წლამდე ასაკის შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის და მედიკამენტების დაფინანსებას,ასევე, შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს, ყოველთვიურ დახმარებას. ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირთა დახმარება. ქვეპროგრამის წლიური გეგმა განისაზღვრა 33,8 ათ. ლარით. დახარჯულია 31,9 ათასი ლარი და ისარგებლა 63 ბენეფიციარმა.

4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც მოიცავს უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის ერთჯერად ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 165.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის დახმარება. 2020 წელს დახარჯულია 155.8 ათასი ლარი. ქვეპროგრამით
ისარგებლა 1700-მდე ოჯახმა.

5. ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება. ბიუჯეტი განისაზღვრა 26,8 ათასი ლარით. დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს ტრანსპორტისთვის თვეში ერიცხებოდა 100 ლარი, პანდემიის პერიოდში (3 თვის განმავლობაში) ბენეფიციარის თანხა გაიზარდა 200 ლარამდე, ხოლო ივლისის თვიდან თანხა განისაზღვრა 150 ლარით. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია
600 ლარით. მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი, ხოლო დიალიზის პროგრამაში ჩართული იყო 15 მოქალაქე. ამ მიმართულებისთ დახარჯულია 26,8 ათ.
ლარი.

6. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, რომლის მოსარგებლეა 4 და მეტი შვილიანი ოჯახი. დახმარება შეადგენს თითოეულ ბავშვზე 50 ლარს. ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების

ფინანსური მხარდაჭერა. ქვეპროგრამით ისარგებლა 53 მრავალშვილიანმა ოჯახმა, დახარჯულია 11,7 ათ. ლარი.
7. მარტოხელა მშობლების დახმარება. ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მშობლების მხარდაჭერა. ბიუჯეტი განისაზღვრა 3.0 ათ. ლარით, დახარჯულია
1.2 ათ. ლარი, ისარგებლა 6 ბენეფიციარმა.
8. მარჩენალდაკარგულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 21 წლამდე ასაკის დედით ან მამით ობოლი პირი. ბიუჯეტი განისაზღვრა 6,0 ათასი ლარით.ქვეპროგრამის მიზანია მარჩენალდაკარგული ახალგაზრდების თანადგომა. ქვეპროგრამით ისარგებლა 28 ბენეფიციარმა და დახარჯულია 5,4 ათ. ლარი.
9. ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამის ბენეფიარები არიან სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები. ბიუჯეტი განისაზღვრა 36,5 ათ. ლარით. ქვეპროგრამის მიზანია ვეტერანების, დევნილების და უსინათლოთა დახმარება. ქვეოროგრამით დახარჯულია 36,5 ათ. ლარი და ისრგებლა 100 მოქალაქემ.
10. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. ქვეპროგრამის მიზანია ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მებრძოლთა ოჯახების დახმარება. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი.
11. ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 და 100 წელს გადაცილებული მოქალაქე. ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმულთა პატივგება. დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2,0ათასი ლარით. დახარჯულია 1,5 ათ. ლარი და მოსარგებლეა 3 ბენეფიციარი.
12. სადღესასწაულო დღეების დახმარება, რომელიც მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. ბიუჯეტი განისაზღვრა 10,0 ათ. ლარით. დახმარება გაიწია ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით პროდუქტის სახით 250 ოჯახზე, ასევე, დახმარება გაიწია ფულადი ფორმით სხვა მოწყვლად ჯგუფზე შესაბამისი დღეების აღსანიშნავად. ქვეპროგრამით დაიხარჯა 9,0 ათ. ლარი და ჯამში ისარგებლა 280 მოქალაქემ.
13. სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარება; ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა 57000 ქულამდე სოც. დაუცველი ან უპატრონო მიცვალებულის ოჯახს. ამ მიმართულებით დახარჯულია 7,5 ათ. ლარი და ისარგებლა 35 ოჯახმა. მათ შორის, 600 ლარი მიმართულია სარეზერვო ფონდიდან კორონავირუსით გარდაცვლილი მოქალაქის დასაკრძალად, ხოლო 300 ლარი – უპატრონო მიცვალებულისთვის ჩასასვენებლის შესაძენად.
14. უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მოხუცების და უკიდურესად გაჭირვებული მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 6,0 ათასი ლარით, თუმცა, ქვეპოგრამის ფარგლებში თანხის ხარჯვა არ მომხდარა, რადგან ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებელმა კომპანიამ განახორციელა სოციალური აქცია და მოწყვალდ ჯგუფზე ამ ფორმით გაიწია დახმარება.
15. ახალშობილთა ოჯახების დახმარება. პირველი ბავშვის შეძენისას ოჯახისათვის გაწეული დახმარება შეადგენს 100 ლარს, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში–150 ლარს, მესამე–200 ლარს და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა იზრდება 50 ლარით. ტყუპების შეძენის შემთხვევაში თანხა განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში
დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით. ბიუჯეტი განისაზღვრა 23,0 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილების ოჯახის დახმარება. 2020 წლის განმავლობაში 138 ახალშობილის ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 23,0 ათ. ლარს.
16. ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვა. ქვეპროგრამით დახმარება გაიწევა გარდაცვლილი დევნილის ან ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დაკრძალვის შემთხვევაში. დახმარება განისაზღვრება 250 ლარით. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შესაბამისი სტატუსის მქონე პირის სარიტუალო მომსახურება. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაიწია 2 ბენეფიციარზე და ამ მიმართულებით დახარჯულია 0,5 ათ. ლარი.
17. სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება. ქვეპროგრამის მიზანია სტიქიური მოვლენების შედეგად

დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა ფინანსური დახმარება და უსახლკარო პირთა მინიმალური საცხოვრებლით უზრუნველყოფა. 2020 წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 3 მოქალაქეს, თვეში 100 ლარის ოდენობით. ამ მიმართულებით დახარჯულია 2,54 ათ. ლარი. მდინარის მოდიდების შედეგად ლეღვანში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად დახარჯულია 91,345 ათ. ლარი, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 42 ოჯახზე გაწეული დახმარება შეადგენს 53,3 თ. ლარს. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 18,7 ათ. ლარი. ჯამში ქვეპროგრამით დახარჯულია 165,9 ათ. ლარი. ქვეპროგრამით ისარგებლა 90 მოქალაქემ.

18. ა(ა)იპ ხარაგაულის სათნოების სახლი. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 114,0 ათ. ლარით. უფასო სასადილოთი ყოველდღიურად სარგებლობდა 70 უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი დაბასა და მიმდებარე სოფლებში. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში სათნოების სახლი მშრალი პროდუქტის სახით სოფლებიდან მომართვების საფუძველზე გასცემს ერთერად დახმარებას მოწყვლად ჯგუფზე. ქვეპროგრამით დახარჯულია 113,7 ათ. ლარი. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ დახმარება მოწყვლად ჯგუფებზე გაიცა 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე სურსათი გაიცა 70+ მარტოხელა 200 მოქალაქეზე, სასურსათო კალათის ღირებულება შეადგენდა 6500 ლარს, მეორე ეტაპზე –გაიცა სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე და დაიხარჯა 5508 ლარი.

19. სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 10,0 ათ. ლარი. ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მეშვეობით ხარაგაულში დაინერგა 0-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვების ადრეული განვითარების მომსახურება, რომელიც გათვლილია 30 ბავშვზე, ამ მიზნით გარემონტდა, ადაპტირდა და ინვენტარით აღიჭურვა შესაბამისი ფართი, რისთვისაც დახარჯულია 9,1 ათ. ლარი.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა შეადგენს 17 911.8 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2021 წლის ცხრა თვის მონაცემებით მობილიზებულია 12 863,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 71,8 %-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ ცხრა თვეში შეადგინა 5 793,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (7 636,2 ,0 ათასი ლარი) 75,9 %-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 6 187,2 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9 012,6 ათასი ლარი) 68,7 %-ია, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 461,6 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 3 496,7 ათასი ლარი. სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 858,5 ათასი ლარი; მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან 650,0 ათ. ლარი და სპეციალური ტრანსფერის სახით 683,9 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 808,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1233,0 ათასი ლარი) 65,6%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 1,7 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 62,3 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 139,9 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –307,7 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 297,3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 74,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (30,0 ათასი ლარი) 247,9 %-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 47,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 26,6 ათასი ლარი.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3 994,7 ათასი ლარი, ხოლო ცხრა თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა -3 449,3 ათასი ლარი.

| ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019–2021 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში) | | | |
|---|---|---|---|
| | 2019 წლის ცხრა თვე | 2020 წლის ცხრა თვე | 2021 წლის ცხრა თვე |
| **გადასახადები** | **4 016,6** | **4 426,4** | **5 793,4** |
| ქონების გადასახადი | 246,3 | 867,0 | 1 321,1 |
| სხვა გადასახადები (მ.შ. დღგ) | 3 770,3 | 3559,4 | 4 472,3 |
| **გრანტები** | **3 869,9** | **3 860,0** | **6 187,2** |
| **სხვა შემოსავლები** | **2 596,4** | **8 02,7** | **808,9** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 86,2 | 85,2 | 64,1 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 76,5 | 57,0 | 139,9 |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 1 305,6 | 526,2 | 307,7 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 1 128,1 | 134,4 | 297,3 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **22,3** | **29,2** | **74,4** |
| შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან | 17,3 | 15,9 | 47,8 |
| შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან | 5,0 | 13,3 | 26,6 |
| | | | |
| **სულ შემოსულობების ჯამი** | **10 505,2** | **9 118,3** | **12 863,9** |

**მუნიციპალიტეტის 2021 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 77,5 % შეადგინა (გეგმა 18 002,1 ათასი ლარი, ფაქტი 13 948,8 ათასი ლარი). ხარჯები მიმართული იქნა :**

- ✓ ინფრასტრუქტურის განვთარება – 7 636,8 ათასი ლარით;
- ✓ დასუფთავება გარემოს დაცვა – 836,4 ათასი ლარით;
- ✓ განათლება – 1 778,1 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 934,8 ათასი ლარით;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 959,9 ათასი ლარით;
- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი -1 802,8 ათასი ლარი.

**ხარაგაული მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების ბიუჯეტების ცხრა თვის ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში**

(ათას ლარებში)

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2019 წლის ცხრა თვის ფაქტი | 2020 წლის ცხრა თვის ფაქტი | 2021 წლის ცხრა თვის ფაქტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **1 705,1** | **1 713.4** | **1 802,,8** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, | 1 705,1 | 1671,9 | 1764,6 |
| 7.1.6 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 41,4 | 38,2 |
| **7.2** | **თავდაცვა** | **56,7** | **54.4** | **48,2** |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 56,7 | 54.4 | 48,2 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **4 129,8** | **4 866.7** | **7 347,9** |
| 7.4 2 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 0,0 | 0.0 | 0,0 |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 4 129,8 | 4 866.7 | 7 347,9 |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **807,2** | **672.9** | **836,4** |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 806,4 | 553.3 | **836,4** |
| 7.5 3 | გარემოს დაბინძურების წინაარმდეგ ბრძოლა | 0,9 | 119.6 | 0,0 |
| 7.5.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში | 0,0 | 119,6 | 0,0 |
| 7.6 | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **177,1** | **258,8** | **289,0** |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | 31,2 | 22,3 | 76,5 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 40,2 | 62,3 | 41,0 |
| 7.6 4 | გარე განათება | 0,0 | 121,6 | 171,4 |
| 7.6 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 105,7 | 52,6 | 0,0 |
| 7.7 | **ჯანმრთელობის დაცვა** | **98,0** | **98,0** | **108,6** |
| 7.7 2 | ამბულატორიული მომსახურება | 1,6 | 0,4 | 0,2 |
| 7.7.4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 96,5 | 97,6 | 108,4 |
| 7.8 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **998,5** | **1 024,0** | **934,8** |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 296,7 | 387,6 | 274,0 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 585,0 | 554,5 | 596,3 |
| 7.8.3 | საგამომცემლოსაქმიანობა | 35,9 | 36,5 | 41,1 |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 80,8 | 36,5 | 23,4 |
| 7.9 | **განათლება** | **1528,3** | **1 335,5** | **1 778,1** |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 840,2 | 865,5 | 1 105,4 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 613,1 | 332,8 | 593,0 |
| 7.9.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 75.0 | 137,2 | 79,7 |
| 7 10 | **სოციალური დაცვა** | **556.2** | **701,6** | **851,2** |
| | სულ | **10 056.8** | **10 670,8** | **13 948,8** |

- 2021 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილია წლიური 10 773,5 ათასი ლარი, გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ცენტრალური და შიდასაუბნო გზების მდგომარეობა;
- წყლის სისტემის გასაუმჯობესებლად გათვალისწინებულია 184,1 ათასი ლარი;
- გარე განათების ქსელის ექსპლუატაციისათვის 232,2 ათასი ლარი.
- მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის - 295,9 ათასი ლარი.
- კეთილმოწყობისათვის -24,5 ათასი ლარი.
- სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განსახორციელებლად - 1 183,6 ათასი ლარი.
- დასუფთავებასა და გარემოს დაცვაზე -1 166,0 ათ. ლარი.
- განათლებას მოხმარდება - 2 561,2 ათ. ლარი.
- კულტურისა დეა სპორტის განვითარებაზე -1 338,6 ათასი ლარი.
- მმართველობა და საერთო ხარჯები შეადგენს 2 663,0 ,0ათ.ლარს, აქედან, მუნიციპალიტეტში მომუშავე თანამშრომელთა ანაზღაურება -1 747,6 ათ ლარი, საქონელი და მომსახურება და სხვადანარჩენი ხარჯები - 727,9 ათ ლარი, სესხების მომსახურებასა და ვალების დაფარვაზე მიიმართა 85,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივები, სხვადასხვა ტექნიკის შესაძენად 31,1 ათ ლარი და დეპუტატთა ხარჯების ანაზღაურებისთვის 71,5 ათ ლარი.
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებისათვის დაგეგმილია 1 358,9 ათ ლარი

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### თვითმმართველი ერთეული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა მოვლენამ გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდბოდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

ზემოაღნიშნულმა პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ასვე ხარჯვით ნაწილებზე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფონზე შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტირებისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

პანდემიასთან დაკავშირებით გაუარესდა როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2022-2025 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.
ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ხარაგაულის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა ტურისტულად მიმზიდველი სიძველეების რეაბილიტაცია. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისის მიღებაზე.

## მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2021 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2022 – 2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**
- **ინფრასტრუქტურა;**
- **განათლება;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება;**

2022-2025 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულება | 3 564,4 | 3248,64 | 3253,64 | 3255,64 |
| | მ.შ რიცხოვნობა | 197 | 197 | 197 | 197 |

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | | | | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 1 060,0 | 1 059,4 | 1 545,5 | 1 461,6 |
| | მ.შ რიცხოვნობა | 11 | 11 | 11 | 11 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 150,0 | 150,0 | 200,0 | 300,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1 190,0 | 1 265,0 | 1 265,0 | 1 265,0 |
| | მ.შ რიცხოვნობა | 173 | 173 | 173 | 173 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 65,0 | | | |
| 04 00 | განათლება | 1854,0 | 1 852,0 | 1 904,0 | 1 959,0 |
| | მ.შ რიცხოვნობა | 313 | 313 | 313 | 313 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 50,0 | | | |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 1 509,2 | 1 476,9 | 1 520,4 | 1 555,1 |
| | მ.შ რიცხოვნობა | 214 | 214 | 214 | 214 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 85,0 | | | |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 538,2 | 1 290,0 | 1 306,0 | 1 321,0 |
| | მ.შ რიცხოვნობა | 34 | 34 | 34 | 34 |
| | მ.შ. ახალი ინიციატივები | 100,0 | | | |

## ინფრასტრუქტურის განვთარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **1 060,0** | **1 465,9** | **1 933,0** | **1 839,1** |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **455,0** | **854,4** | **950,0** | **961,6** |
| 02 01 01 | გზების კაპიტალური შეკეთება | 250,0 | 480,0 | 550,0 | 550,0 |
| 02 01 02 | გზების მიმდინარე შეკეთება | 120,0 | 184,4 | 200,0 | 200,0 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | | | | |
| 02 01 04 | ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 55,0 | 150,0 | 150,0 | 151,6 |
| 02 01 05 | მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 30,0 | 40,0 | 50,0 | 60,0 |
| **02 02** | **წყლის სისტემის განვითარება** | **250,0** | **226,5** | **280,5** | **357,5** |
| 02 02 01 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 235,0 | 206,5 | 250,5 | 327,5 |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემების განვითარება | 15,0 | 20,0 | 30,0 | 30,0 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| | (სანიაღვრე არხების მოწყობა) | | | | |
| **02 03** | **გარე განათება** | **240,0** | **250,0** | **437,5** | **250,0** |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 240,0 | 250,0 | 300,0 | 250,0 |
| 02 03 02 | გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა | 0,0 | 0,0 | 137,5 | 0,0 |
| **02 04** | **მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია** | **50,0** | **60,0** | **170,0** | **175,0** |
| **02 05** | კეთილმოწყობა | 50,0 | 60,0 | 80,0 | 80,0 |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 05 02 | სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 05 03 | კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია | 50,0 | 60,0 | 80,0 | 80,0 |
| **02 09** | **სოფლის მხარდამჭერი პროგრამა** | **15,0** | **15,0** | **15,0** | **15,0** |
| **02 10** | **სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა** | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

2022 -2025 წლებში კვლავ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების, ხიდების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია; დაბასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფლებში წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის გარე განათება და კეთილმოწყობა.

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 01 | | | **455,0** | **854,4** | **950,0** | **961,6** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტოტიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და თანადაფინანსებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 20% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.<br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა:<br>**- გზების მშენებლობა - კაპიტალური შეკეთება;**<br>**- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -პატრონობა;**<br>გზების მშენებლობა-კაპიტალური შეკეთება ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური ( საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) შეკეთება/რეაბილიტაცია.<br>საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა -შენახვა ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას (მათ შორის, ე.წ. ორმული შეკეთება), ასევე, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. | | | | |
| სამედიცინო ხარჯი | 500.0 |
| კომუნალურიხარჯები | 12000.0 |
| ჰიგიენურიდასადეზინფექციოსაშუალებებისხარჯი | 500.0 |
| რბილი ინვენტარი | 4500.0 |
| ტრანსპორტის ხარჯი | 4500.0 |
| სპორტული ღონისძიებების ხარჯი | 13000.0 |
| სხვა საქონელი და მომსახურება | 5000.0 |
| არაფინანსური აქტივები | 2000.0 |
| | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 01 | | | 148,5 | 148,5 | 148,5 | 148,5 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააპი ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, კლასიკური გიტარის, საესტრადო ვოკალის, დრამის მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 93 მავშვი. სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 16 თანამშრომელს. დაფინანსება შეადგენს 148000 ლარს. სკოლაში ფუნქციონირებს ვოკალურ ინსტრუმენტული ბენდ |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სამუსიკო განათლების ხელშეწყობის მიზანია : შემოქმედების მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის შემსწავლელი მიმართულებების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კოკკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.<br>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხენლად, სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მულიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მაშტაბით და საზღვარგარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. |

| ოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურისა და ხელოვნების ხელშწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 02 | | | 710,0 | 732,0 | 748,6 | 754,5 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი,1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი. კულტურის ცენტრში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგაფიული წრეები, ბალეტისა და სამეჯლისო ცეკვების წრე,ფოლკლორული ანსამბლები, ვოკალური წრე, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი,აღნიშნული წრეების სწავლების პრგოგრამებში მონაწილეობს 60-მდე აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 230-მდე მონაწილე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბიბლიოთეკო განყოფილება, მათ შორის 1 ცენტრალური, 1 საბავშვო, 1 პატარა ხარაგაულის და 22 სასოფლო ბიბლიოთეკა. წიგნადი ფონდი ჯამში შეადგენს 196225 ერთეულს . ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგეს 4800 ადამიანს. ბიბლიოთეკა ახორციელებს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, ტრადიციულად აქტიურად მონაწილებს საბიბლიოთეკო კვირეულში, გრძელდება პროექტი ,,შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან", რომლის ფარგლებშიც არაერთი ცნობილი სახე სტუმრობდა ხარაგაულს. აქტიურად მიმდინარეობს წიგნადი ფონდის განახლება და მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაცია. აგრეთვე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკასთან არსებული ინოვაციების ცენტრი,რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით,ტრენინგები ტარდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის.მოსარგებლეთა რაოდენობა 250 მდე ადამიანი. მრავალი ათეული წელია წარმატებით ფუნქციონირებს კულტურის ცენტრთან არსებული ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ასევე წარმატებულად მოღვაწეობს რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულითეატრი,ლარი.მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ისტორიული მუზეუმი, ექსპონატების რაოდენობა 11 686 ერთეული; ვიზიტორები წლის განმავლობაში 4320; მუზეუმში ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტები: „პატარა არქეოლოგები“,’’მოხალისე გიდები“,პატარა რესტავრატორები, ,,ჩვენ ვხატავთ ანიმაციას", ,,ფერწერული მუსიკა", ,,ექსპონანტით გაცოცხლებული ხარაგაულის ისტორია”, „შემოდგომა იმერეთში“, „ევროპის მემკვიდრეობის დღეები“ , ,,მუზეუმებისა საერთაშორისო დღე“ და ა.შ .პერიოდულად იგეგმება საგამოფენო დარბაზის განახლება ექსპონატებით,მოეწყობა სხვადასხვა სახის ფერწერული თუ გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. ფუნქციონირებს ხატვისა და ქანდაკებების შემსწავლელი წრე , სადაც აღსაზრდელები ეუფლებიან სხვადასხვა მასალების გამოყენებით ფერწერული თუ კერამიკული ნამუშევრების შექმნას. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | **ქვეპროგრამის მიზანია:** მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის ცენტრის მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და ვოკალურ წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარი მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს.<br>**მოსალოდნელი შედეგი:** – ღონისძიებებსა და ფესტივალებში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია |

| ოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 03 | | | 20,7 | 20,7 | 20,7 | 20,7 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი |
| პროგრამის აღწერა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს სორის 2019 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ცენტრის მიერ მოწყობილ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. წარჩინებული ახალგაზრდობის უფასო სწავლება გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებელში საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ასევე სწავლის დასრულების |

| | |
|---|---|
| | შემდეგ დასაქმების ხელშეწყობა და ადგილობრივი სპეციალისტების გადამზადება სპეციალური პროგრამით. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სალოტბარო სკოლის მოსწავლეების უფასოდ ჩართვა სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ განხორციელებულ ფესტივალებსა და ღონისძიებებში. |

| ოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 02 | | | 10,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებში ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;კულტურული პროექტების თანადაფინანსებას;<br>კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას;<br>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;<br>კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | **ქვეპროგრამის მიზანია:** მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;<br>**მოსალოდნელი შედეგი:** მოხდება კულტურისა და განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია. | | | | | |

| ოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 03 | | | 60,0 | 61,2 | 63,3 | 65,5 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი" | | | | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება, ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი", რომელიც უზრუნველყოფს გაზეთ ,,ახალი ხარაგაულის გამოცემას". ცენტრის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი.გაზეთის საშუალებით მოსახლეობას სისტემატიურად მიეწოდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის და სხვადახვა ღონისძიებების შესახებ. ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან კომუნიკაცია და მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, ბევრად ნაკლები დროისა და ენერგიის ხარჯზე. ცხელი ხაზის ძირითადი დატვირთვაა შემდეგი აქტივობები: მოქალაქეთა პრობლემების დაფიქსირება და შესაბამის საჯარო მოხელეებთან გადამისამართება და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლების, ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, სისტემატურად იმართება შეხვედრები სოფლებში. ადგილზეგაცნობა მოსახლეობის პრობლემების და ადგილობრივი თვითმართველობის ხელმძღვანელობამდე მიტანის უზრუნველყოფა. ასევე კომპეტენციის ფარგლებში დახმარება. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | **პროგრამის მიზანი:** ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობების შესახებ; ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.<br>**მოსალოდნელი შედეგი:** ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა; | | | | | |

| ოდი | ქვეპროგრამის დასახელება | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 04 | | | 30,0 | 50,0 | 50,0 | 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში ახლადაშენებულ საკათედრო ტაძარს შიდა მოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად და საეკლესიო ინვენტარის შესაძენად. ასევე დახმარება გაეწევა სკოლა-გიმნაზიას. |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | |

| ოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 05 | | | 20,0 | 21,0 | 21,0 | 21,0 |
| ქვეპრაგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: - ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით; ქვეპროგრამის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა. | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდულ პოლიტიკასთან | | | | |

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 538,2 | 1 290,0 | 1 306,0 | 1 321,0 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 147,0 | 147,0 | 147,0 | 147,0 |
| 06 02 | ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა | 8,0 | 8,0 | 8,0 | 8,0 |
| 06 03 | სოციალური დაცვა | 1 383,2 | 1 135,0 | 1 151,0 | 1 166,0 |
| 06 03 01 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | 450,0 | 420,0 | 420,0 | 420,0 |
| 06 03 02 | კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე პირთა დახმარება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 03 03 | შშმ პირთა დახმარების პროგრამა | 53,0 | 50,0 | 52,0 | 54,0 |
| 06 03 04 | ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 350,0 | 160,0 | 160,0 | 160,0 |
| 06 03 05 | ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება | 28,0 | 38,0 | 38,0 | 38,0 |
| 06 03 06 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 15,7 | 14,0 | 16,0 | 18,0 |
| 06 03 07 | მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა | 8,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 |
| 06 03 08 | მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა | 8,0 | 8,0 | 9,0 | 10,0 |
| 06 03 09 | ყოველთვიური დახმარების პროგრამა | 65,0 | 56,0 | 58,0 | 60,0 |
| 06 03 10 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა | 8,5 | 9,0 | 9,0 | 9,0 |
| 06 03 11 | ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა | 4,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| 06 03 12 | სადღესასწაულო დღეების დახმარება | 30,0 | 38,0 | 42,0 | 45,0 |
| 06 03 13 | სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო | 12,0 | 10,0 | 11,0 | 12,0 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| | მომსახურეობის პროგრამა | | | | |
| 06 03 14 | უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა | 10,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 |
| 06 03 15 | ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 25,0 | 32,0 | 33,0 | 34,0 |
| 06 03 16 | გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა | 1,0 | 2,0 | 2,0 | 2,0 |
| 06 03 17 | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება | 140,0 | 130,0 | 130,0 | 130,0 |
| 06 03 18 | უფასო სასადილო | 130,0 | 119,0 | 119,0 | 119,0 |
| 06 03 19 | სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა | 10,0 | 12,0 | 14,0 | 16,0 |
| 06 03 20 | გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა | 15,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 |
| 06 03 21 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება | 20,0 | 15,0 | 15,0 | 15,0 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 01 | | | 147,0 | 147,0 | 147,0 | 147,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | | | | |
| პროგრამის აღწერა | | მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.<br>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:<br>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი) ც ეპატიტის პროგრამის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა.<br>2.(კოვიდ-19-ის დაავადებაზე პრევენციული ღონისძიებების განხორცილებაზე ზედამხედველობა)<br>3 იმუნიზაციია.<br>4 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა<br>5 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის მონიტორინგი.<br>6 თამბაქოს მოწევის აკრძალვის მონიტორინგი. | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია. მშენებლობა, აღჭურვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 | | | 8.0 | 7,0 | 7,0 | 7,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში არსებული საექიმო ამბულატორიების მშენებლობა, რეაბილიტაცია და აღჭურვა, ასევე ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა<br>ქვეპროგრამის მიზანია სოფლის ამბულატორიების გამართული ფუნქციონირება და მოსახლეობისათვის პირველადი ამბულატორიული დახმარების შეუფერხებელი გაწევა |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საექიმო ამბულატორიების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ინტერნეტით აღჭურვა და სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა |

| შეფასების ინდიკატორები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საბოლოო შედეგი (OUTCOME) | 2021 საბაზისო | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| დაავადებათა გამოვლენის შემკთხვევების რაოდენობა | 10786 | 800 | 500 | 200 | 0 | დროულად მოხდეს პრევენცია | რაოდენობრივი |
| შუალედური შედეგი (OUTPUT) | | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | სტრატეგიული მიზანი | შეფასების მაჩვენებელი |
| იმუნიზაციის ღინისძიებების ხარჯი (ცივი ჯაჭვის ლოჯისტიკი) | 1140.0 | 1140.00 | 1140.00 | 1140.00 | 1140.00 | ჯანმრთელი მოსახლეობა | თანხობრივი |

ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტის წინასწარი გათვლები (ხარჯთაღრიცხვა)

| დასახელება | თანხა ათას ლარში |
|---|---|
| სახელფასო ფონდი | 121080 |
| შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 12000 |
| მივლინება | 1000 |
| ოფისის ხარჯი | 2000 |
| კომუნალური ხარჯები | 3000 |
| ჰიგიენური და სადეზნიფექციო საშუალებების ხარჯი | 2000 |
| ტრანსპორტის ხარჯი | 3200 |
| სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტმომსახურების ხარჯი | 2,0 |
| სხვა საქონელისა და მომსახურეობის ხარჯი | 1,2 |
| არაფინანსური აქტივის შეძენის ხარჯი | 1144 |

## სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათებითა და დახმარებით უზრუნველყოფას.
მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოთი სარგებლობას, საოპერაციო, გამოკვლევის და სამკურნალო ხარჯების თანადაფინანსებას, შშმ პირთა, მარტოხელა მშობლების, მარჩენალდაკარგულთა, მრავალშვილიანთა და ახალშობილთა ოჯახების დახმარებას, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა და უსახლკაროთა დახმარებას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფას და სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებას.

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 01 | | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა | 450,0 | 420,0 | 420,0 | 420,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | ოპერაციის, მედიკამენტის, სამედიცინო კვლევის და მომსახურეობის დაფინანსება:<br>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსებას იმ თანხის 50%-მდე, რომელიც არ ანაზღაურდება კერძო დაზღვევის ან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, თანადაფინანსება არაუმეტეს 1000 ლარამდე. ონკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში დახმარება გაიწევა 1500 ლარამდე.<br>სამედიცინო კვლევის თანადაფინანსება არაუმეტეს 500 ლარისა.<br>სკოლამდელი ასაკის ბავშვებში პოსტკოვიდური მდგომარეობის გართულების სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება კურორტ ნუნისში არაუმეტეს 1400 ლარისა.<br>ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს 150 ლარამდე ერთჯერად დახმარებას მედიკამენტების შესაძენად მძიმე და ქრონიკული დაავადებებისას, კერძოდ:<br>ა) ეპილეფსიის;<br>ბ) პარკინსონის;<br>გ) ბრონქიალური ასთმის;<br>დ) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციის;<br>ე) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100001-ს;<br>ვ) კოვიდის და კოვიდის შემდგომი გართულებების მკურნალობისას.<br>დახმარება გაიწევა ბენეფიციარებზე, რომელებიც არ მონაწილეობენ მედიკამენტებით დახმარების სახელმწიფო პროგრამაში.<br>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამით მოსარგებლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | შშმ პირთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 03 | | | 53,0 | 50,0 | 52,0 | 54,0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | 1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე 0-18 წლამდე პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენა. პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება კვების წყაროსთვის საჭირო ელემენტის ღირებულება და/ან პროცესორის და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება. დახმარების ოდენობა განისაზღვრება წელიწადში 1000 ლარის ოდენობით.<br>2.0-18 წლამდე ასაკის შშმპ მედიკამენტოზური და სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსება 1200 ლარის ფარგლებში.<br>3.შშმ პირის, რომელიც საჭიროებს მომვლელს და არ აქვს სოციალური შემწეობა, ყოველთვიური დახმარება თვეში 30 ლარის ოდენობით.<br>4. შშმ პირთათვის სხვადასხვა სახის ღონისძიების მოწყობა (ექსკურსია, საგანმანათლებლო-განმავითარებელი ღონისძიება და სხვ.)<br>ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა თანადგომა და რესოციალიზაციის ხელშეწყობა |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | შშმ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი ოჯახების თანადგომა |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 04 | | | 350,0 | 160,0 | 160,0 | 160,0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერადად ფინანსურ დახმარებას. დახმარება განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარისა.<br>ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციარის ოჯახის ფინანსური მხარდაჭერა |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 05 | | | 28,0 | 38,0 | 38,0 | 38,0 |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | ჰემოდიალიზით ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარები, ტრანსპორტის ხარჯით უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 150 ლარით, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ლეიკემიით დაავადებულ პირებს, მუნიციპალიტეტი წელიწადში გაუწევს 600 ლარის ოდენობით ფინანსურ დახმარებას.<br>ქვეპროგრამის მიზანია პაციენტების ხელმისაწვდომობა სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობაზე |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 05 | | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 15,7 | 14,0 | 16,0 | 18,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 001-ს და რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი. დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ თითოეულ ბავშვზე 50 ლარით<br>ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების ხელშეწყობა | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 07 | | მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამა | 8,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილ(ებ)ი. დახმარება განისაზღვრება ყოველთვიურად 50 ლარით.<br>ქვეპროგრამის მიზანია მატოხელა მშობლების თანადგომა | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მარტოხელა მშობლების ფინანსური თანადგომა | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 08 | | მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა | 8,0 | 8,0 | 9,0 | 10,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | ქვეპროგრამის მოსარგებლეა 21 წლამდე ასაკის მარჩენალდაკარგული ბავშვი, რომელსაც გარდაცვლილი ჰყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით თითოეულ შესაბამის ასაკამდე ბავშვზე. | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | მარჩენალდაკარგულთა  თანადგომა | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 09 | | ყოველთვიური ფინანსური დახმარება | 65,0 | 56,0 | 58,0 | 60,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის მოსარგებლენი არიან: 1. დიდი სამამულო ომის ვეტერანები,  2. ზესტაფონის უსინათლოთა კავშირში გაერთიანებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსინათლოები  3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილები.  დახმარება განისაზღვრება თვეში 50 ლარის ოდენობით.<br>ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი ჯგუფის მატერიალური თანადგომა | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | | აღნიშნული კატეგორიის   ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა კომუნალური და სხვა  გადასახადების უზრუნველყოფისათვის | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 10 | | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება | 8,5 | 9,0 | 9,0 | 9,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | |
| პროგრამის აღწერა | | პროგრამის ფარგლებში დახმარება გაიწევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულ იმ ოჯახებზე, რომლებზეც არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები.<br>2. 2008 წლის წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის ოჯახის დახმარება.<br>ქვეპროგრამის მიზანია გმირების ოჯახების თანადგომა | | | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების თანადგომა და მათი საფლავების მოვლა-პატრონობა |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 11 | | | 4,0 | 2,0 | 3,0 | 4,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი ასაკის ხანდაზმულების დახმარება საიუბილეოდ 1000 ლარის ოდენობით | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | უხუცესთა პატივისცემა | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სადღესასწაულო დღეების დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 12 | | | 30,0 | 38,0 | 42,0 | 45,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად სამამულო ომის ვეტერანებს გაეწევათ ფინანსური დახმარება 200 ლარით. ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს _ 100 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. აუტიზმზე ცნობადობის ამაღლების დღესთან დაკავშირებით _ 100 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შეძენა. საკვები პროდუქტის შეძენა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით.<br>ქვეპროგრამის მიზანია სადღესასწაულო დღეებსა და ღირშესანიშნავ თარიღებში მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური და მორალური მხარდაჭერა | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური მხარდაჭერა და სადღესასწაულო განწყობის შექმნა | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 13 | | | 12,0 | 10,0 | 11,0 | 12,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | 1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (65000 ქულის ჩათვლით) გარდაცლილის სარიტუალო მომსახურებისათვის გაიწევა დახმარება 200 ლარის ოდენობით.<br>2. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -300 ლარის ოდენობით.<br>პირველ შემთხევაში ოჯახის უფლებამოსილი წევრის, მეორე შემთხვევაში _ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ მერის ბრძანების საფუძველზე.<br>ქვეპროგრამის მიზანია უკიდურესად ღატაკი/უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის თანადგომა | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გარდაცვლილის ოჯახის მხარდაჭერა/მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების ხელშეწყობა | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 14 | | | 10,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა დაბაში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს სათბობი მასალით. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | უმწეო ოჯახების სათბობი მასალით უზრუნველყოფის ხელშეწყობა | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 15 | | | 25,0 | 32,0 | 33,0 | 34,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა | პროგრამის მოსარგებლენი არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახები. დახმარება განისაზღვრება პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში 100 ლარით, მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში 150 ლარი და ყოველ მომდევნო ბავშვზე ემატება 50 ლარი. ტყუპების შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 500 ლარით. სამი და მეტი ტყუპის შეძენის შემთხვევაში დახმარება განისაზღვრება 1500 ლარით<br>ქვეპროგრამის მიზანია ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ახალშობილთა ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | **გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა** | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 16 | | | 1,0 | 2,0 | 2,0 | 2,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250 ლარის ოდენობით, მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, დელეგირებული უფლება-მოსილების განსახორციელებლად. ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილის პატივის მიგება | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის სარიტუალო მომსახურება | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | **სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება** | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 17 | | | 140,0 | 130,0 | 130,0 | 130,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | 1. ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მიხედვით. დახმარება გაიწევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის დაზიანების კატეგორიების შესაბამისად. მერის ბრძანებით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილი წესის შესაბამისად განისაზღვრება ბენეფიციარზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა.<br>2. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკარო ოჯახების და ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით ან საცხოვრებლით უზრუნველყოფა<br>ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | ოჯახების საცხოვრებელი პირობების შექმნა/გაუმჯობესება | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | **უფასო სასადილო** | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 18 | | | 130,0 | 119,0 | 119,0 | 119,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)ი.პ.,, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი" | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების , მრავალშვილიანი ოჯახების კვირაში ექვსი დღე, დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართა დახმარება საკვები პროდუქტებით. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა , მრავალშვილიანი ოჯახების საკვებ პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, შიმშილის ნაწილობრივ ან სრულდ აღმოფხვრა. | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | **სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა** | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 19 | | | 10,0 | 12,0 | 14,0 | 16,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, ა(ა)იპ განვითარებისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი ,,თაირისი" | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2020 წელს ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვა. ამ მიზნით გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 8 პედაგოგი, მომზადდა ადაპტირებული გარემო ჯგუფური მეცადინეობებისათვის. პროექტის მიხედვით 2021 წ. მერია უზრუნველყოფს ჯგუფური თერაპიის სერვისის ღირებულების თანაგადახდას<br>პროექტის მიზანია ბავშვთა ადრეული განვითარების სერვისის დანერგვა და მოწყვლადი კატეგორიის ბავშვების ამ სერვისზე გეოგრაფიული წვდომა | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სოციალური პასუხისმგებლობა/ ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება და შშმ და სსმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის | **გადაუდებელი რეაგირების** | 2022 წლის | 2023 წლის | 2024 წლის | 2025 წლის |
|---|---|---|---|---|---|---|

| | დასახელება | ქვეპროგრამა | დაფინანსება ათას ლარში | დაფინანსება ათას ლარში | დაფინანსება ათას ლარში | დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 20 | | | 15,0 | 10,0 | 10,0 | 10,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა მოიცავს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ პირველად მხარდაჭერას, რომლის მეშვეობითაც ოჯახმა კრიზისი უნდა დაძლიოს მოკლე დროში. დახმარება შეიძლება იყოს მატერიალური ან არამატერიალური, ქვეპროგრამის მოსარგებლეა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ოჯახის წევრების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. დახმარება გაიწევა განცხადების საფუძველზე, ოჯახში ვიზიტს ახორციელებს მობილური ჯგუფი, რომელიც აფასებს ოჯახის მდგომარეობას და საჭიროებას. მობილური ჯგუფის დასკვნის საფუძველზე შესაბამისი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს დახმარების სახეს და ახდენს შემდგომ რეაგირებას. ქვეპროგრამის მიზანია ოჯახის კრიზისის დაძლევა მოკლე დროში. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სოციალური პასუხისმგებლობა | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 21 | | | 20,0 | 15,0 | 15,0 | 15,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამ ამოიცავს ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, რომელსაც ესაჭიროება დახმარება და მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს სხვა მუნიციპალური პროგრამით. დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს 500 ლარისა. ქვეპროგრამის მიზანია ვეტერანთა თანადგომა | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სოციალური პასუხისმგებლობა | | | | | |

## მმართველობა და საერთო დანიშნულება

მმართველობითი სფეროს გამართული ფუნქციონირება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნას და უზრუნველყოფას, საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესებას, მიმდინარე პროცესების მართვას და სხვა ფაქტორებს.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, შესყიდვებთან დაკავშირებული ხარჯები მუნიციპალიტეტის ვალდებულბებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის პროექტი | 2023 წლის პროგნოზი | 2024 წლის პროგნოზი | 2025 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულება | 3 564,4 | 3 505,9 | 3 529,9 | 3 541,9 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 3 377,9 | 3 352,9 | 3 361,9 | 3 373,9 |
| 01 01 01 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 784,8 | 803,2 | 814,2 | 825,7 |
| 01 01 02 | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია | 2 481,5 | 2 425,4 | 2 429,4 | 2 429,9 |
| 01 01 03 | სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური | 99,900 | 106,3 | 100,3 | 100,3 |
| 01 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 11,7 | 18,0 | 18,0 | 18,0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 143,0 | 153,0 | 168,0 | 168,0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 93,5 | 60,0 | 70,0 | 70,0 |
| 01 02 02 | წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა | 3,0 | 3,0 | 5,0 | 3,0 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 90,0 | 90,0 | 93,0 | 95,0 |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 01 04 | | | 11,7 | 18,0 | 18,0 | 18,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერია | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლების გადამზადება განხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში., მათ შორის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცის მიერ. გადამზადდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულები არიან და მონაწილეობენ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დარგობრივი პროგრამებისა და პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენაში. გადამზადება ხორციელდება უფასოდ საწევროს ფარგლებში. სწავლებბა ხორციელდება უწყვეტად მთელი წლის და პროგრამის განმავლობაში და გაიცემა სერთიფიკატები. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის და ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 02 02 | | | 3,0 | 3,0 | 5,0 | 3,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ამ ქვეპროგრამით საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებები და მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სასამართლოს გადაწყეტილებების აღსრულება პირგასამტეხლოს გარეშე | | | | | |

| კოდი | ქვეპროგრამის დასახელება | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 2022 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2023 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | 2025 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 02 03 | | | 90,0 | 90,0 | 93,0 | 95,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში ქონების გადაცემის სასეხო ხელშეკრულებით მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ათწლიანი სესხის- 356 455 ლარის (რომლითაც შეძენილია ორი ერთეული კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და ასი ცალი ნარჩენების კონტეინერი) საპროცენტო და ძირი თანხის დაფარვა დაწესებული გრაფიკის მიხედვით წელიწადში ორჯერ აპრილისა და ოქტომბრის 28 რიცხვებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. | | | | | |
| ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | სასესხო ვალდებულების დაფარვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში. | | | | | |